საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
№ 733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2021 წლის 29 ივლისი
№01-05-04/115 დადგენილებით

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მასობრივი კომუნიკაცია/ჟურნალისტიკა
Mass Communication/Journalism

ფაკულტეტი

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of engineering economics, media technologies and social sciences

პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი თამარ მალაღურაძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით

მასობრივი კომუნიკაციის ბაკალავრი (Bachelor of Masscommunication) მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსების 225 კრედიტის და თავისუფალი კომპონენტების სახით 15 კრედიტის ათვისების შემთხვევაში, არანაკლებ 240 კრედიტის შესრულებისას.

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მხოლოდ სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის მფლობელს ან მასთან გათანაბრებულ პირს, რომელიც ჩაირიცხება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა მოიცავს ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებს (225 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი). თითოეული სემესტრის მოცულობა არის - 30 კრედიტი. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი). ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას.

დეტალური ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევის, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებებისა და სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების შესახებ დეტალური ინფორმაცია ასახულია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“, რომელიც შეგიძლიათ იხილოთ ლინკზე: https://gtu.ge/Study-Dep/Forms/Forms.php

პირველი სასწავლო წელს 55 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსია, ხოლო 5 კრედიტი თავისუფალი კომპონენტი.

მეორე სასწავლო წელს 12 სავალდებულო სასწავლო კურსია (60 კრედიტი).

მესამე სასწავლო წელს 50 კრედიტი პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსებია, 10 კრედიტი კი - თავისუფალი კომპონენტი.

მეოთხე სასწავლო წლის განმავლობაში შეისწავლის ძირითადი სპეციალობის 6 სასწავლო კურსს (28 კრედიტი), 2 არჩევით სპეციალობის სასწავლო კურსს (10 კრედიტი), გაივლის სასწავლო პრაქტიკას (ჯამში 12 კრედიტი) და იმუშავებს საბაკალავრო ნაშრომზე (10 კრედიტი). კერძოდ: VII სემესტრში სტუდენტი გაივლის ძირითადი სპეციალობის 4 სასწავლო კურსს (19 კრედიტი) ერთ სპეციალობის არჩევით კურსს (5 კრედიტი), სასწავლო პრაქტიკას (რადიო) (6 კრედიტი), VIII სემესტრში სტუდენტი გაივლის ძირითადი სპეციალობის 2 სასწავლო კურსს (9 კრედიტი), სპეციალობის ერთ არჩევით სასწავლო კურსს (5 კრედიტი), სასწავლო პრაქტიკას (ტელევიზია) (6 კრედიტი), იმუშავებს საბაკალავრო ნაშრომზე (10 კრედიტი).

თავისუფალ კომპონენტებს (15 კრედიტი) სტუდენტი ირჩევს ნებისმიერი აკრედიტებული პროგრამიდან, საგანზე დაშვების წინაპირობების დაცვით.

საბაკალავრო პროგრამა მოდიფიცირებულია სამი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების მონაცემების გათვალისწინებით. კერძოდ, ეს უნივერსიტეტებია: 1.მადრიდის კარლოს III-ს სახელობის უნივერსიტეტის - University of Carlos III - ჰუმანიტარიის და კომუნიკაციების ფაკულტეტის(https://www.uc3m.es/ss/Satellite/Grado/en/Detalle/Estudio_C/1371212505885/1371212987094/Bachelor_s_Degree_in_Journalism?utm_campaign=Bachelor%27s+Degree+in+Journalism&utm_medium=Click+from+educations.com&utm_source=educations.com#studyprogram) ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამა; 2. **ჩეხეთი - პრაღა, ანგლო-ამერიკული უნივერსიტეტი (Anglo American University)** https://www.aauni.edu/journalism/journalism-and-communications/ ჟურნალისტიკისა და კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა; **3. რიგის უნივერსიტეტის** https://esgroup.uz/ru/universities/38/turiba-university

კომუნიკაციების მართვისა და მედიამცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა. სამივე საბაკალავრო პროგრამა 4-წლიანია და თითოეული კურსი შედგება 2 სემესტრისაგან.

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია მასობრივი კომუნიკაციის არსის, ძირითადი თავისებურებების, პრინციპების, ღირებულებების მცოდნე ფართო პროფილის (ბეჭდური, რადიო, ტელე, ონლაინ, ინტერნეტ) სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს თანამედროვეობის აქტუალური ფაქტების, მოვლენებისა და პრობლემების ჟურნალისტურ ფაქტად გადაქცევას საერთაშორისო და საქართველოს ეთიკური, სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით შეფასებას და კომენტირებას.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ბეჭდური, სამაუწყებლო და ახალი მედიისათვის მედიაპროდუქტის დაგეგმვის, მომზადების, ზეპირი და წერილობითი პრეზენტაციის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. აქვს ფართო ცოდნა ქვეყანასა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მოვლენების გაშუქების, კომენტირება-ანალიზის, მედიის მარკეტინგული და სარეკლამო სტრატეგიის შემუშავების, მიზნობრივი დაგეგმარების მეთოდების შესახებ.

2. აკავშირებს მედიის ტრადიციულ და თანამედროვე მეთოდებს რეალობის ობიექტური სურათის შექმნის მიზანთან.

3. ამყარებს ეფექტურ წერილობით და ვერბალურ კომუნიკაციას პროფესიული ჯგუფის, მასობრივი, ინტერ და ინტრაპერსონალური ურთიერთობების დონეზე.

4. აგებს მიზნობრივ ჟურნალისტურ ტექსტებს როგორც დამოუკიდებლად, ისე წყაროებისგან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპის გათვალისწინებით.
5. ქმნის მედიაპროდუქციას ახალი (ციფრული ფოტო-აუდიო-ვიდეო და კომპიუტერული ტექნიკა) და მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.
6. აკეთებს ფაქტისა და მოვლენის ობიექტურ ინტერპრეტირებას და გამოაქვს ზოგადი და კონკრეტული დასკვნა მოძიებული ინფორმაციის კრიტიკულად დამუშავების შედეგად.
7. ახორციელებს კვლევითი და პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.
8. განსაზღვრავს საკუთარი სწავლის მიმართულებას ჟურნალისტური პროფესიული ოსტატობის სტანდარტების ცოდნის მნიშვნელობის გაცნობიერების საფუძველზე;
9. მაღალი ხარისხით **წარმართავს** პროფესიულ საქმიანობას სარწმუნოობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით და დემოკრატიულ და ჰუმანისტურ ღირებულებებზე დაყრდნობით.
10. აცნობიერებს ჟურნალისტის სოციალურ პასუხისმგებლობას ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე.

სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

☒ ლექცია ☒ სემინარი (ჯგუფში მუშაობა) ☒ პრაქტიკული ☒ ლაბორატორიული ☒ პრაქტიკა
☐ საკურსო სამუშაო/პროექტი ☒ კონსულტაცია ☒ დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული შესაბამისი აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):
1. დისკუსია/დებატები;
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
3. როლური და სიტუაციური თამაშები;
4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
5. გონებრივი იერიში (Brain storming);
5. დემონსტრირება;
6. ინდუქცია;
7. დედუქცია;
8. ანალიზი;
9. სინთეზი;
7. ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი;
8. წერითი მუშაობა;
9. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
10. შემთხვევების შესწავლა (Case Study);
11. თანამშრომლობითი სწავლება;
12 პრაქტიკული;
13. ახსნა-განმარტებითი;
14. პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია;
15. ელექტრონული სწავლება.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

მასკომუნიკაციის საშუალებები (პრესა, რადიო-ტელევიზია, ინტერნეტჟურნალისტიკა), საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პრესცენტრები, საინფორმაციო სააგენტოები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე სათანადო კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები. ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ დამატებითი ინფორმაცია იხილეთ თანდართულ დოკუმენტებში.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 61

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	სასწავლო კურსი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი							
			I წელი		II წელი		III წელი		IV წელი	
			სემესტრი							
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
1	შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში	არ აქვს	5							
2	PR -ის საფუძვლები	არ აქვს	5							
3	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები-1	არ აქვს	4							
4	საქართველოს ისტორია და კულტურა	არ აქვს	5							
5	წერითი და ზეპირი კომუნიაციები	არ აქვს	5							
6.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	ეროვნული გამოცდის								

		შედეგი ინგლისურ ენაში								
6.2	უცხოური ენა (გერმანული) –B 1.1	ეროვნული გამოცდის შედეგი გერმანულ ენაში	6							
6.3	უცხოური ენა (ფრანგული) –B 1.1	ეროვნული გამოცდის შედეგი ფრანგულ ენაში								
6.4	უცხოური ენა (რუსული) –B 1.1	ეროვნული გამოცდის შედეგი რუსულ ენაში								
7	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში		5						
8	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა	არ აქვს		5						
9	ფილოსოფიის შესავალი	არ აქვს		5						
10	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები-2	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები-1		4						
11. 1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.2	უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული,ფრანგული,რუსული) –B 1.2		6						
11.2	უცხოური ენა (გერმანული) –B 1.2									
11.3	უცხოური ენა (ფრანგული) –B 1.2									
11.4	უცხოური ენა (რუსული) –B 1.2									
	თავისუფალი კომპონენტი			**5**						
12	ვიზუალური მასკომუნიკაციის საფუძვლები	არ აქვს			5					
13	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	საქართველოს ისტორია და კულტურა			6					
14	რეკლამა მასკომუნიკაციაში	შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში			5					
15	პროფესიული ეთიკა	შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში			4					
16	ბეჭდური მედია	შესავალი			5					

		მასობრივ კომუნიკაციაში								
17.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.1	უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული,ფრანგული,რუსული) –B 1.2			5					
17.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.1									
17.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.1									
17.4	უცხოური ენა (რუსული) – B 2.1									
18	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	ახალი ამბების ჟურნალისტიკა				6				
19	ჟურნალისტის სამეტყველო ოსტატობა	არ აქვს				4				
20	ტელევიზიისა და მასმედიის სისტემები	ვიზუალური მასკომუნიკაციის საფუძვლები				5				
21	კომპიუტერული ვიდომონტაჟის ტექნოლოგიები	ინფორმაციული ტექნოლოგიები-2				5				
22	თანამედროვე საზღვარგერეთის მედია	ბეჭდური მედია				5				
23.1	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.2	უცხოური ენა (ინგლისური, გერმანული,ფრანგული,რუსული) –B 2.1				5				
23.2	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.2									
23.3	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.2									
23.4	უცხოური ენა (რუსული) – B 2.2									
24	პროფესიული ოსტატობა	ანალიტიკური ჟურნალისტიკა					5			
25	ვერბალური კომუნიკაცია	წერითი და ზეპირი კომუნიკაციები					5			
26	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციაში	ანალიტიკური ჟურნალისტიკა					5			
27	ახალი მედია (ინტერნეტჟურნალისტიკა)	ახალი ამბების ჟურნალისტიკა					5			
28	მასკომუნიკაციის სოციოლოგია	არ აქვს					5			
	თავისუფალი კომპონენტი						**5**			
29	ბეჭდურ გამოცემათა შემოქმედებითი და საწარმოო დაგეგმარება	ბეჭდური მედია						5		

30	ფოტო-ვიდეო ტექნოლოგიები	არ აქვს						5		
31	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	ანალიტიკური ჟურნალისტიკა						5		
32	სამაუწყებლო ახალი ამბები	პროფესიული ოსტატობა						5		
33	მედია და პოლიტტექნოლოგიები	PR-ის საფუძვლები						5		
	თავისუფალი კომპონენტი							**5**		
34	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	ვერბალური კომუნიკაცია							5	
35	თანამედროვე პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	ანალიტიკური ჟურნალისტიკა							5	
36	კონფლიქტების გაშუქება	მედია და პოლიტტექნოლოგიები							5	
37	მედიაპროდუქციის რედაქტირება	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა							4	
38	საწარმოო პრაქტიკა (რადიო)	ახალი ამბების ჟურნალისტიკა							6	
39.1	მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიები									
39.2	კადრის გამომსახველობითი კულტურა	არ აქვს							5	
39.3	ემიგრანტული ჟურნალისტიკა									
39.4	რადიოგადაცემის მომზადება									
40	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	თანამედროვეობის პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში								5
41	მედიამენეჯმენტი	არ აქვს								4
42	საწარმოო პრაქტიკა (ტელევიზია)	სამაუწყებლო ახალი ამბები								6
43	საბაკალავრო ნაშრომი	პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები, გარდა მე-8 სემესტრის								10

44.1	ფოტოჟურნალისტიკა	არ აქვს								5
44.2	მედია სამართლის საფუძვლები									
44.3	ტელეგადაცემების მომზადება									
		სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**	**30**
		წელიწადში	**60**		**60**		**60**		**60**	
		სულ	**240**							

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსის კოდი	სასწავლო კურსი	ECTS კრედიტი/საათი	საათი								
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მუშაობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა
1	JOI11912G1-LS	შესავალი მასობრივ კომუნიკაციაში	5	15	30					2	2	76
2	SOS21312G1-LS	PR-ის საფუძვლები	5	15	30					2	2	76
3	ICT15008G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები-1	4	15			15			1	1	68
4	HEL20312G1-LS	საქართველოს ისტორია და კულტურა	5	15	30					1	1	78
5	LEH11912G1-LS	წერითი და ზეპირი კომუნიაციები	5	15	30					2	2	76
6.1	LEH19212G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.1	6			60				1	1	88
6.2	LEH18812G1-P	უცხოური ენა (გერმანული) –B 1.1	6			60				1	1	88
6.3	LEH18612G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) –B 1.1	6			60				1	1	88
6.4	LEH19012G1-P	უცხოური ენა (რუსული) –B 1.1	6			60				1	1	88
7	JOI12112G1-LS	ახალი ამბების ჟურნალისტიკა	5	15	30					2	2	76
8	LEH11812G1-LS	ქართული ენის გამოყენებითი სტილისტიკა	5	15	30					2	2	76
9	HEL30512G1-LS	ფილოსოფიის შესავალი	5	15	30					2	2	76
10	ICT15108G1-LB	გამოყენებითი ინფორმატიკის საფუძვლები-2	4	15			15			1	1	68
11.1	LEH19312G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 1.2	6			60				1	1	88

11.2	LEH18912G1-P	უცხოური ენა (გერმანული) –B 1.2	6			60				1	1	88
11.3	LEH18712G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) –B 1.2	6			60				1	1	88
11.4	LEH19112G1-P	უცხოური ენა (რუსული) –B 1.2	6			60				1	1	88
12	JOI10312G1-LS	ვიზუალური მასკომუნიკაციის საფუძვლები	5	15	30					2	2	76
13	JOI12712G1-LS	ქართული ჟურნალისტიკის ისტორია	6	30	60					2	2	86
14	JOI12612G1-LS	რეკლამა მასკომუნიკაციაში	5	15	30					2	2	76
15	HEL30412G1-LS	პროფესიული ეთიკა	4	15	15					2	2	66
16	JOI11612G1-LS	ბეჭდური მედია	5	15	30					2	2	76
17.1	LEH12710G3-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.1	5			45				1	1	78
17.2	LEH11212G1-P	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.1	5			45				1	1	78
17.3	LEH10812G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.1	5			45				1	1	78
17.4	LEH11612G1-P	უცხოური ენა (რუსული) – B 2.1	5			45				1	1	78
18	JOI12012G1-LS	ანალიტიკური ჟურნალისტიკა	6	30	30					2	2	86
19	LEH15312G1-LS	ჟურნალისტის სამეტყველო ოსტატობა	4	15	15					2	2	66
20	JOI10712G1-LS	ტელევიზიისა და მასმედიის სისტემები	5	15	30					2	2	76
21	JOI10612G1-P	კომპიუტერული ვიდომონტაჟის ტექნოლოგიები	5			45				2	2	76
22	JOI10412G1-LS	თანამედროვე საზღვარგერეთის მედია	5	15	30					2	2	76
23.1	LEH10512G1-P	უცხოური ენა (ინგლისური) –B 2.2	5			45				1	1	78
23.2	LEH11312G1-P	უცხოური ენა (გერმანული) – B 2.2	5			45				1	1	78
23.3	LEH10912G1-P	უცხოური ენა (ფრანგული) – B 2.2	5			45				1	1	78
23.4	LEH11712G1-P	უცხოური ენა (რუსული) – B 2.2	5			45				1	1	78
24	JOI13212G1-LS	პროფესიული ოსტატობა	5	15	30					2	2	76
25	JOI13512G1-LS	ვერბალური კომუნიკაცია	5	15	30					2	2	76
26	JOI11812G1-LS	კულტურის ანალიზი და რეპრეზენტაცია მასკომუნიკაციაში	5	15	30					2	2	76
27	JOI13012G1-LS	ახალი მედია(ინტერნეტჟურნალ ისტიკა)	5	15	30					2	2	76
28	JOI13612G1-LS	მასკომუნიკაციის	5	15	30					2	2	76

		სოციოლოგია										
29	JOI13112G1-LS	ბეჭდურ გამოცემათა შემოქმედებითი და საწარმოო დაგეგმარება	5	15	30					2	2	76
30	JOI11312G1-P	ფოტო-ვიდეო ტექნოლოგიები	5			45				2	2	76
31	JOI12212G1-LS	საგამოძიებო ჟურნალისტიკა	5	15	30					2	2	76
32	JOI11112G1-P	სამაუწყებლო ახალი ამბები	5			45				2	2	76
33	JOI11512G1-LS	მედია და პოლიტტექნოლოგიები	5	15	30					2	2	76
34	SOS32812G1-LS	კრიტიკული აზროვნების ელემენტები	5	15	30					2	2	76
35	JOI13412G1-LS	თანამედროვე პრობლემატიკა მასკომუნიკაციაში	5	15	30					2	2	76
36	JOI19612G1-LS	კონფლიქტების გაშუქება	5	15	30					2	2	76
37	JOI10512G1-LS	მედიაპროდუქციის რედაქტირება	4	15	15					2	2	66
38	JOI12312G1-P	საწარმოო პრაქტიკა (რადიო)	6					60		2	2	86
39.1	ICT23908G1-LB	მულტიმედიური ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	15		30				1	2	77
39.2	JOI19912G1-P	კადრის გამომსახველობითი კულტურა	5			45				2	2	76
39.3	JOI12812G1-LS	ემიგრანტული ჟურნალისტიკა	5			45				2	2	76
39.4	JOI11012G1-P	რადიოგადაცემის მომზადება	5			45				2	2	76
40	JOI11712G1-LS	ეკოლოგიური ჟურნალისტიკა	5	15	30					2	2	76
41	JOI12912G1-LS	მედიამენეჯმენტი	4	15	15					2	2	66
42	JOI12512G1-P	საწარმოო პრაქტიკა (ტელევიზია)	6					60		2	2	86
43	JOI19812G1-K	საბაკალავრო ნაშრომი	10			90					2	158
44.1	JOI19712G1-P	ფოტოჟურნალისტიკა	5			45				2	2	76
44.2	LAW15411G2-LSK	მედია სამართალის საფუძვლები	5	15	30					2	3	75
44.3	JOI10912G1- P	ტელეგადაცემების მომზადება	5			45				2	2	76

პროგრამის ხელმძღვანელი თამარ მალაღურაძე

საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი ეკატერინე შაკიაშვილი

ფაკულტეტის დეკანი ივანე ჯაგოდნიშვილი

მიღებულია
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის
საბჭოს სხდომაზე
10 მაისი, 2011 წელი

შეთანხმებულია
სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან დავით მახვილაძე

მოდიფიცირებულია
საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა
და სოციალურ მეცნიერებათა
ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე
2021 წლის 28 ივნისი
ოქმი № 64

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე ივანე ჯაგოდნიშვილი